ქართული ენის გრამატიკა

III კლასი

დამხმარე სახელმძღვანელო

გულნარა ჟღენტი
დემირა ელიაშვილი
ნინო ზამბახიძე

წინადადება
არის__ სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი,
რომელიც დასრულებულ აზრს გამოხატავს
ტესტი

1. რომელია თხრობითი წინადადება?
   ა) აბა, დათვალეთ, რამდენი ხართ!
   ბ) პირამდე სავსე აუზი ბავშვებს ძალიან მოეწონათ.
   გ) აუზს რატომ აბინძურებთ?
   დ) ყურადღება მიაქციე აუზს!
2. რომელია კითხვითი წინადადება?
   ა) ერთ ხშირ, დაბურულ ტყეში ლომს მშვიდად ეძინა.
   ბ) უშიშარმა თაგვმა ტანზე გადაურბინა.
   გ) გახსოვს, რომ დამცინე?
   დ) ხომ ხედავ პატარა თაგვსა შეძლებია დიდი ლომი დახმარება!
3. რომელია ძახილის წინადადება?
   ა) არა, ამაზე ლამაზი ფრინველი ქვეყნად არ არის!
   ბ) რომელი ამბობდა მართალს?
   გ) ეზოში ფარშევანგი დადიოდა ამაყად.
   დ) იქვე, გზაზე ორი კაცი მიდიოდა.

ბრუნვა

ერთი და იგივე სახელი შეიძლება შვიდი სხვადასხვა ფორმით შეგვხვდეს:

მაგ.: ქალ-ი, ქალ-მა, ქალ-ს, ქალ-ის, ქალ-ით, ქალ-ად, ქალ-ო.

სახელის ასეთ ცვლას ბრუნვათა მიხედვით, ბრუნება ჰქვია.

თანამედროვე ქართულში გვაქვს შვიდი ბრუნვა.

ბრუნვები და მისი მაწარმოებლები:

1.	სახელობითი	-ი	ბავშვ-ი	კაც-ი	სახლ-ი
2.	მოთხრობითი	-მა	ბავშვ-მა	კაც-მა	სახლ-მა
3.	მიცემითი	-ს	ბავშვ-ს	კაც-ს	სახლ-ს
4.	ნათესაობითი	-ის	ბავშვ-ის	კაც-ის	სახლ-ის
5.	მოქმედებითი	-ით	ბავშვ-ით	კაც-ით	სახლ-ით
6.	ვითარებითი	-ად	ბავშვ-ად	კაც-ად	სახლ-ად
7.	წოდებითი	-ო	ბავშვ-ო	კაც-ო	სახლ-ო

ელექტრონული ტესტი: https://learningapps.org/display?v=pscs7bz8n20

ორი ერთნაირი ბგერის თავმოყრა არსებით სახელში
(ორი მ, ორი ს)

ირემი, გემი, სკამი, ექიმი, გურამი, ლომი, ჯემი, კრემი ___
ასეთ სახელებს, რომელთა ბოლო თანხმოვანი არის მ, მოთხრობით ბრუნვაში მოუდის ორი მ.
ირემმა, გემმა, სკამმა, ექიმმა, გურამმა, ლომმა, ჯემმა, კრემმა.

თბილისი, ქუთაისი, ნემსი, ლექსი, მწყემსი ___ ასეთ სახელებს, რომელთა ბოლო თანხმოვანი არის ს, მიცემით ბრუნვაში მოუდის ორი ს.
თბილისს, ქუთაისს, ნემსს, ლექსს, მწყემსს.

სიტყვებში ჩაწერეთ გამოტოვებული ასო-ბგერები

ირემ/ /ა ირემს ბალახი მიაწოდა. მატარებელი თბილის/ / მიუახლოვდა. მშიერმა ლომ/ /ა დაიღრიალა. მწყემს/ / სალამური ამშვენებს. გურამ/ /ა გაკვეთილი კარგად ისწავლა. ექიმ/ /ა ავადმყოფი კაბინეტში დაიბარა. ლექს/ / ვერ დავწერ.

ორი ერთნაირი ბგერის თავმოყრა არსებით სახელში
(ორი ზ, ორი შ)

კოვზი, ხაზი, ლაზი, აფხაზი, ლამაზი, რამაზი, ვაზი,
ასეთ სახელებს, რომელთა ბოლო თანხმოვანი არის ზ, ზე-ს
დართვისას ორი ზ მოიყრის თავს.
კოვზზე, ხაზზე, ლაზზე, აფხაზზე, ლამაზზე, რამაზზე, ვაზზე

თამაში, რაში, ქარქაში, ხაში, კომში, ლავაში, ნუში, შიში,
ასეთ სახელებს, რომელთა ბოლო თანხმოვანი არის შ, ში-ს
დართვისას ორი შ მოიყრის თავს.
თამაშში, რაშში, ქარქაშში, ხაშში, კომშში, ლავაშში, შიშში.

სიტყვებში ჩაწერე გამოტოვებული ასო-ბგერები:

დედამ წამალი კოვზ/ /ე დაასხა. მამა იმ ახალგაზრდა
აფხაზ/ /ე გვიყვებოდა. რამაზ/ /ე უკეთ გიორგი
სწავლობდა. თამაშ/ /ი ყველა ერთმანეთს აჰყვა. ბებომ
ცხელ ლავაშ/ /ი ყველი ჩაგვიდო.

სწორია	შეცდომაა
ფოთლის	ფოთოლის
მერცხლის	მერცხალის
მაკრატლის	მაკრატელის
ობლის	ობოლის
გოდრის	გოდორის
მაწვნის	მაწონის
მინდვრის	მინდორის
წყლის	წყალის
მსხლის	მსხალის
ხოხბის	ხოხობის
კოკრის	კოკორის
ჩოჩრის	ჩოჩორის
ნივრის	ნიორის
სანთლის	სანთელის

ადამიანის საკუთარი სახელი მიმართვისას
ფუძის სახით იხმარება

1. ლუარსაბ! - დაუძახა ძმას დავითმა
2. მშვიდობით ჩემო გაბრიელ!
3. შენ კარგად იცნობ სოლომონ, ჩემს გულს.

სწორია	შეცდომაა
დავითმა	დავითიმ
აკაკიმ	აკაკმა
დარეჯანმა	დარეჯანიმ
ქეთევანმა	ქეთევანიმ
გიორგიმ	გიორგმა
თამარმა	თამარიმ
ზურაბმა	ზურაბიმ
ლევანმა	ლევანიმ
ლუარსაბმა	ლუარსაბიმ

სახელს ორი რიცხვი აქვს: მხოლობითი და მრავლობითი

	მხოლობითი	მრავლობითი
1. სახელობითი	ბავშვ-ი	ბავშვ-ებ-ი
2. მოთხრობითი	ბავშვ-მა	ბავშვ-ებ-მა
3. მიცემითი	ბავშვ-ს	ბავშვ-ებ-ს
4. ნათესაობითი	ბავშვ-ის	ბავშვ-ებ-ის
5. მოქმედებითი	ბავშვ-ით	ბავშვ-ებ-ით
6. ვითარებითი	ბავშვ-ად	ბავშვ-ებ-ად
7. წოდებითი	ბავშვ-ო	ბავშვ-ებ-ო

მრავლობით რიცხვს აწარმოებს ებ ბოლოსართი.

ხაზი გაუსვით მრავლობითი რიცხვის ფორმას:

ფოთოლი, ყვავილები, ბალახები, ბუჩქი, ქათამი, იხვები, მამალი, ღორები, ცხენები, ხარი, ურემი, ვეფხვები, ვარდები, იები, იასამანი, მგზავრი, მერხები, სკამები, რვეული, წიგნი, კალამი, ფანქრები, ჩანთები, სახლები, ნაძვი, ფიჭვი, ხე.

სიმრავლის აღმნიშვნელი სიტყვებია:
ბევრი, მრავალი, უამრავი, რამდენიმე და ა.შ.

ბავშვები - არის მრავლობითი რიცხვის ფორმა.
ბევრი ბავშვი - ესეც მრავლობითი რიცხვის ფორმაა.

როცა სახელს (ბავშვი) წინ უძღვის სიმრავლის აღმნიშვნელი სიტყვა (ბევრი), მაშინ სახელი ბავშვი მხოლობით რიცხვში უნდა იყოს, თუმცა ის მრავალ ბავშვს აღნიშნავს.

1. ელენემ ენები იცოდა __ ელენემ მრავალი ენა იცოდა.

2. ხატიას დედამ თოჯინები უყიდა __
ხატიას დედამ უამრავი თოჯინა უყიდა.

3. ლანას დაბადების დღეზე მეგობრები მოვიდნენ ___
ლანას დაბადების დღეზე რამდენიმე მეგობარი მოვიდა.

არსებითი სახელი

საგნის აღმნიშვნელ სიტყვას არსებითი სახელი ჰქვია.
დაესმის კითხვები: ვინ? რა?
კითხვა ვინ დაესმის მხოლოდ ადამიანის აღმნიშვნელ სახლებს.
კითხვა რა __ ყველა სხვა სახელს.
არსებითი სახელები იყოფა ჯგუფებად:

1. ვინ და რა ჯგუფი

ვინ ჯგუფისაა არსებითი სახელები, რომლებიც პასუხობს კითხვაზე ვინ: ბავშვი, დედა, ექიმი, მარიამი, ბაბუა და სხვა.

რა ჯგუფისაა არსებითი სახელები, რომლებიც პასუხობს კითხვაზე რა: ძაღლი, თევზი, თელავი, ხორბალი და სხვა.

2. სულიერი და უსულო

სულიერია, რომელსაც თავისი ძალით გადაადგილება შეუძლია,
უსულოა, რომელსაც თავისი ძალით გადაადგილება არ შეუძლია.

3. კონკრეტული და აბსტრაქტული

კონკრეტულია სახელი, რომელსაც ნივთიერი სახე გააჩნია: მაგიდა, სკამი. . .
აბსტრაქტულია სახელი, რომელსაც ნივთიერი სახე არ გააჩნია: მეგობრობა, სილამაზე, სიყვარული . . .

4. საკუთარი და საზოგადო

საკუთარია სახელი, რომელიც ერთ რომელიმე საგანს ჰქვია,
საზოგადოა სახელი, რომელიც მრავალ ერთნაირ საგანს ჰქვია: ზღვა, ტბა . . .

ვინ და რა ჯგუფის სახელები დააკავშირეთ სწორად

დედა		ვარდი
სპილო		ბაბუა
მასწავლებელი	ვინ	მოსწავლე
მაგიდა		ირემი
მერცხალი	რა	შველი
კურდღელი		წიგნი
ყვავილი		მამა
ქოთანი		გიორგი

სულირი და უსულო სახელები დააკავშირეთ სწორად

ვაშლი		არწივი
ძაღლი		კატა
ბავშვი		კალამი
წიგნი	სულიერი	ქალი
კურდღელი	უსულო	რვეული
ჩანთა		ადამიანი
ცხოველი		მცენარე
ყვავილი		იხვი

კონკრეტული და აბსტრაქტული სახელები დააკავშირეთ სწორად

მაგიდა		სიძულვილი
სილამაზე		მერცხალი
ბავშვი	კონკრეტული	ბოროტება
სიმამაცე		ცხოველი
ფრინველი	აბსტრაქტული	სინანული
მეგობრობა		სახლი
ადამიანი		მშვენიერება
სიყვარული		წიგნი

სახლი

ჩანთა

საათი

ბურთი

ხე

ჩვენ შეგვიძლია ყველა ამ ნივთის დანახვა, შეხება და გააჩნია ნივთიერი სახე.

მაგრამ, არის ისეთი სახელები, რომელთა დანახვა და შეხება არ შეეგვიძლია, ესენია:

სილამაზე, სიმამაცე, სიყვარული, ბედნიერება - ამ სიტყვებს არ გააჩნიათ ნივთიერი სახე, ჩვენ მას ვერც შევეხებით და ვერც დავინახავთ. ასეთ სახელს აბსტრაქტული სახელი ჰქვია.

შეასრულეთ ელექტრონული ტესტი:
https://learningapps.org/display?v=p41ivd19j19

საკუთარი და საზოგადო სახელები დააკავშირეთ სწორად

მდინარე		ხატია
თბილისი		ქალაქი
სოფელი		მცხეთა
ლისის ტბა		ზღვა
მცენარე		ქუთაისი
შავი ზღვა		ხილი
მტკვარი		ადამიანი
ტბა		ბავშვი

საკუთარი

საზოგადო

ზედსართავი სახელი საგნის ნიშან-თვისებას გამოხატავს
და დაესმის კითხვები:
როგორი? რომელი? სადაური? როდინდელი?

ლამაზი ქალი _____ როგორი ქალი?
ლამაზი _____ არის ზედსართავი სახელი,
ჭკვიანი ბავშვი _____ როგორი ბავშვი?
ჭკვიანი _____ არის ზედსართავი სახელი

ქუდიანი ბიჭი __ რომელი ბიჭი?
ქუდიანი __არის ზედსართავი სახელი

იტალიელი მზარეული __ სადაური მზარეული?
იტალიელი __ არის ზედსართავი სახელი.

წლევანდელი მოსავალი __ როდინდელი მოსავალი?
წლევანდელი __ არის ზედსართავი სახელი.

დაუსვით კითხვები:

1. ფუმფულა ფისოს ტკბილად ეძინა.
   როგორ ფისოს? ___ ფუმფულა.
2. ცელქი ბავშვები ჟრიამულით გარბოდნენ მდინარისაკენ?
   როგორი ბავშვები? ___ ცელქი.
   აღნიშნავს საგნის ნიშან_თვისებას.

3. სახლი ტყის პირას იდგა.
   სად იდგა? _____ ტყის პირას.
4. საბა სკოლაში წავიდა.
   სად წავიდა? _____ სკოლაში.
   აღნიშნავს ადგილს, სადაც ხდება მოქმედება.

5. ლანა და მისი მეგობრები დღეს პირველად წავიდნენ სკოლაში.
   როდის წავიდნენ? ___ დღეს.
6. სკოლაში არდადეგები გუშინ დაიწყო.
   როდის დაიწყო? _____ გუშინ.
   აღნიშნავს დროს, როცა მოხდა მოქმედება.

ხელობის აღმნიშვნელი სახელები

ნახირი -----მენახირე,
ცხვარი ---- მეცხვარე,
ბადე ------- მებადური,
ზღვა ------ მეზღვაური,
ნავი -------- მენავე,
ნადირი --- მონადირე,
თხილამური - მოთხილამურე,

ღორი ------- მეღორე,
თევზი ------ მეთევზე,
ტივი -------- მეტივე,
ვენახი ------ მევენახე,
მამული ---- მემამულე,
ჭადრაკი --- მოჭადრაკე,
დუქანი ---- მედუქნე.

მენახირე, მეცხვარე, მებადური, მეღორე, მეთვზე, მეტივე,

მეზღვაური, მევენახე, მენავე, მემამულე, მონადირე,

მოჭადრაკე, მოთხილამურე, მედუქნე _____

ხელობის აღმნიშვნელი სახელებია

დანიშნულების აღმნიშვნელი სახელები

ყური ---- საყურე,
საფლავი------ სასაფლაო,
ფეხი ------- საფეხური,
სადილი ------ სასადილო,
მაჯა -------- სამაჯური,
ყელი --- საყელო,

სკოლა ---- სასკოლო,
კაცი -------- საკაცე,
მამული ------ სამამულო,
ყვავილი---- საყვავილე,
ხელი - სახელური.

საყურე, სასკოლო, საფეხური, სამამულო, სამაჯური, საყელო,

სასაფლაო, საკაცე, სასადილო, საყვავილე, სახელური

დანიშნულების აღმნიშვნელი სახელებია.

არსებითი სახელისაგან წარმოქმნილი ზედსართავი სახელები:

ქუდი - უქუდო - ქუდიანი; შვილი - უშვილო - შვილიანი;
ბედი - უბედური - ბედნიერი; ცოლი - უცოლო - ცოლიანი

ზედსართავ სახელებში განირჩევა ხარისხის სამი ფორმა:

დადებითი	უფროობითი	ოდნაობითი
თეთრი	უ - თეთრ-ეს-ი	მო - თეთრ - ო
დიდი	უ - დიდ - ეს - ი	მო - დიდ - ო
ტკბილი	უ - ტკბ - ეს - ი	მო - ტკბ - ო
გრძელი	უ - გრძ - ეს - ი	მო - გრძ - ო
სქელი	უ - სქ - ეს - ი	მო - სქ - ო

კარგის უფროობითი ფორმაა უკეთესი
ცუდის უფროობითი ფორმაა უარესი

რიცხვითი სახელი სამი სახისაა:

რაოდენობითი	რიგობითი	წილობითი
ორი	მე - ორ - ე	მე - ორ - ედ - ი
ხუთი	მე - ხუთ - ე	მე - ხუთ - ედ -ი
ათი	მე - ათ - ე	მე - ათ - ედ - ი

გაურკვეველი რიხვითი სახელებია:

ბევრი, უამრავი, რამდენიმე, მრავალი

სწორია	შედომაა
უამრავი მეგობარი	~~უამრავი მეგობარები~~
ბევრი ბავშვი	~~ბევრი ბავშვები~~
რამდენიმე წიგნი	~~რამდენიმე წიგნები~~
მრავალი ენა	~~მრავალი ენები~~
ათი მოსწავლე	~~ათი მოსწავლეები~~
ბევრი ვაშლი	~~ბევრი ვაშლები~~

ტესტი

1. რომელია არასწორი?
   ა) ბარათით; ბ) ზუსტათ; გ) ხელით

2. რომელია არასწორი?
   ა) ერთნაირი ბარათები;
   ბ) ნაბეჭდი ბარათები;
   გ) უამრავი ბარათები

3. რომელია არასწორი?
   ა) კაცად; ბ) ბავშვათ; გ) სახლით

4. რომელია არასწორი?
   ა) რამდენიმე ბურთები;
   ბ) წითელი ბურთები;
   გ) ფეხბურთის ბურთები

5. რომელია არასწორი?
   ა) სახლათ; ბ) სკამით; გ) წიგნად

პირის ნაცვალსახელი	
მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
I -პირის ნაცვალსახელი	
მე	ჩვენ
II -პირის ნაცვალსახელი	
შენ	თქვენ
III -პირის ნაცვალსახელი	
ის	ისინი
მე ვსწავლობ,	ჩვენ ვსწავლობთ
შენ სწავლობ	თქვენ ვსწავლობთ
ის სწავლობს	ისინი სწავლობენ

რთული სიტყვები, რომლებიც
იწერება დეფისით და უდეფისოთ (ერთად)

დააკვირდით მაგალითს:

მთა - ბარი → მთა და ბარი;

დედ - მამა → დედა და მამა, ეს რთული სიტყვები იწერება დეფისით, რადგან შესდგება ორი სხვადასხვა სიტყვისაგან და თითოეულს ცალკე აღებულს იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც რთულ სიტყვაში.

შეიძლება ფუძეგაორკეცებული სიტყვებიც დავწეროთ დეფისით.

დიდ-დიდი; ხევ-ხევი; ქუჩა-ქუჩა; უბან-უბან და ა. შ.

რთული სიტყვები, რომლებიც
ერთად იწერება

ფუძეგაორკეცებული რთული სიტყვებია: თავთავი, წამწამი, მაგრამ დეფისით არ იწერება, რადგან ცალკე აღებულ თითოეულ ნაწილს სხვა მნიშვნელობა აქვს, ხოლო ერთად სულ სხვა რამეს ნიშნავს.

თავ და თავი ნიშნავს ორგანოს, ადამიანის, ცხოველის ან ფრინველის თავს, ხოლო თავთავი არის მარცვლეული მცენარე,

ასევე, წამ და წამი მიანიშნებს დროს, ხოლო წამწამი აქვს თვალს, ამიტომ ასეთი რთული სიტყვები ერთად იწერება, უდეფისოდ.

რთული სიტყვები, რომლებიც ერთად იწერება

ერთად იწერება აგრეთვე ფუძეგაორკეცებული რთული სიტყვები, როდესაც გასაორკეცებელი ფუძე ერთმარცვლიანია და შეერთებულია და-თი.

მაგ.: სხვადასხვა, პირდაპირ, ხანდახან, ცხენდაცხენ და სხვა.

თუ გასაორკეცებელი ფუძე ორმარცვლიანია, იწერება ცალ-ცალკე.

მაგ.: ბოლოს და ბოლოს, უფრო და უფრო, ისევ და ისევ, აქეთ და იქით და სხვა.

გამონაკლისია:

მაინცდამაინც, შიგადაშიგ. (რომლებიც ერთად იწერება)

ერთად იწერება ნაირფუძიანი რთული სიტყვებიც:

მაგ.: ჯარისკაცი, გულკეთილი, ყოვლისმცოდნე, გულისპირი, პირდაბანილი, ყოველდღე, ყოველკვირა და სხვა

ფრჩხილებში მოცემული რთული სიტყვებიდან ხაზი გაუსვით სწორ ვარიანტს.

1. ყანაში (თავთავი, თავ-თავი) დამწიფებულიყო.

1. ჩემი თოჯინა (წამ-წამს, წამწამს) აფაფხურებდა.

1. ნინი მდინარეს (ნაპირნაპირ, ნაპირ-ნაპირ) მიუყვებოდა.

1. ლალი (ხევ-ხევ, ხევხევ) შეუმჩნევლად მიიპარებოდა.

1. ასე დავდიოდი დილამდე (ქუჩაქუჩა, ქუჩა-ქუჩა).

1. დათვი (ბაჯბაჯით, ბაჯ-ბაჯით) მიდიოდა.

1. ამწვანებულიყო (მთა-ბარი, მთაბარი).

1. დედამ ნამცხვრის (პატარპატარა, პატარ-პატარა) ნაჭრები გაუნაწილა შვილებს.

რთული სიტყვები აქციე ორ სიტყვად:

ცოლ-ქმარი	ცოლი და ქმარი	ბებია-ბაბუა	- - - - - -
სახლ-კარი	- - - - - -	ალაგ-ალაგ	- - - - - -
ხელ-ფეხი	- - - - - -	ტყე-ველი	- - - - - -
ეზო-ეზო	- - - - - -	ღობე-ყორე	- - - - - -
ყრუ-მუნჯი	- - - - - -	ნაპირ-ნაპირ	- - - - - -
ცვარ-ნამი	- - - - - -	ნელ-ნელა	- - - - - -
ღობე-ღობე	- - - - - -	მაღლა-მაღლა	- - - - - -

ასეთი სიტყვები იწერება დეფისით

ზმნა აღნიშნავს მოქმედებას და დაესმის კითხვები:

რა ჰქნა? რას შვრება? რას იზამს?

მოსწავლემ დავალება დაწერა. <u>რა ჰქნა?</u> ___დაწერა.

ბავშვი ბურთს თამაშობს. <u>რას შვრება?</u> ___თამაშობს.

მოსწავლე წიგნს წაიკითხავს. <u>რას იზამს?</u> ___წაიკითხავს.

ზმნას გააჩნია დრო:

<u>ახლანდელი</u>	<u>წარსული</u>	<u>მომავალი</u>
აკეთებს	გააკეთა	გააკეთებს
ცეკვავს	იცეკვა	იცეკვებს
სწავლობს	ისწავლა	ისწავლის
მუშაობს	იმუშავა	იმუშავებს

სწორია	შეცდომაა
მოსწავლეები მაგიდასთან ისხდნენ	მოსწავლები მაგიდასთან იჯდნენ
ბავშვებმა ქვები გადაყარა	ბავშვებმა ქვები გადააგდო
ამდენი ნადირი თქვენ დახოცეთ?	ამდენი ნადირი თქვენ მოკალით?
ჩემს ბაღში ხეს ვაშლები ასხია.	ჩემს ბაღში ხეს ვაშლები აბია.
უზარმაზარ ორმოში ჩავცვივდით.	უზარმაზარ ორმოში ჩავვარდით.
მტერი თავს დაესხა.	მტერი თავს დაეცა.
ნახირი საძოვარზე გარეკეს.	ნახირი საძოვარზე გააგდეს.
ლიამ ჭურჭელი დაამსხვრია.	ლიამ ჭურჭელი გატეხა.
ძირს დაყრილი ვაშლები აკრიფა.	ძირს დაყრილი ვაშლები აიღო.
ხალხი ისხდა	ხალხი იჯდა
დედა-შვილი დასხდა	დედა-შვილი დაჯდა
მგლები დაიხოცა	მგლები მოკვდნენ
და-ძმა მისცვივდა	და-ძმა მივარდნენ
გიამ წიგნები თაროზე დააწყო	გიამ წიგნები თაროზე დადო

ტესტი

1. რომელია სწორი?
   ა) ბავშვები მაგიდასთან ზიან;
   ბ) ბებომ დამპალი ვაშლები გადააგდო;
   გ) შემოდგომით ხიდან ყვითელი ფოთლები ცვივა
2. რომელია სწორ?
   ა) ბავშვები ხევში გადაგდებულ სახედარს მივარდნენ;
   ბ) ჩემს დარგულ ნერგს ნაყოფი კარგად აბია;
   გ) ტყემ მოისხა ფოთოლი
3. რომელია სწორი?
   ა) საბამ ცხვრის ფარა საძოვარზე გააგდო;
   ბ) ბავშვები მაგიდას უხმოდ მიუსხდნენ;
   გ) ვაშლის ძირში უამრავი ვაშლი აგდია
4. რომელია სწორი?
   ა) გიორგიმ ნახირი გარეკა;
   ბ) ჩვენმა მეომრებმა მტრები მოკლა;
   გ) შვილიშვილები ბებოს გვერდით ვჯდებით.

მიზანი/მიზეზი

რათა თუ რადგან?

წინადადებაში დავწეროთ სწორი ფორმით:

1. ელენემ გაკვეთილები დროულად ისწავლა, რათა სათამაშოდ წასულიყო.
2. ლანამ ყვავილები დაკრიფა, რათა დედისთვის დედის დღე მიელოცა.

ორივე წინადადებაში საუბარია მიზანზე, პირველ წინადადებაში მიზანია სათამაშოდ წასვლა, ხოლო მეორე წინადადებაში __ დედის დღის მილოცვა, ამიტომ ვწერთ „რათა“.

3. გიორგი სკოლაში არ წავიდა, რადგან გაკვეთილები არ იცოდა.
4. საბამ საყვედური დაიმსახურა, რადგან ხატია გაანაწყენა.

მე-3 და მე-4 წინადადებაში საუბარია მიზეზზე, მე-3 წინადადების მიზეზია გაკვეთილების არცოდნა, ხოლო მე-4 წინადადების __ ხატიას განაწყენება, ამიტომ ვწერთ რადგან.

ე.ი. თუ წინადადებაში საუბარია მიზანზე, იწერება რათა,
თუ წინადადებაში საუბარია მიზეზზე, იწერება რადგან.

მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები (სინონიმები)		საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები (ანტონიმები)	
ხაბაზი	პურის მცხობელი	მოხუცებული	ახალგაზრდა
პეშვი	მუჭა	გამარჯვებული	დამარცხებული
უმაქნისი	უქნარა	საზამთრო	საზაფხულო
უვიცი	უცოდინარი	შერცხვენილი	სახელიანი
დაამთავრა	დაასრულა	დღე	ღამე
სადავო	საკამათო	აღმოსავლური	დასავლური
ქურდულად	მიპარვით	ბობოქარი	წყნარი
უჩინარი	უხილავი	დასასრული	დასაწყისი
უცნობი	უცხო	გაანათა	დააბნელა
გუნება	განწყობა	დაბლობი	მაღლობი
ვაკე	დაბლობი	ტირილი	სიცილი
ქომაგი	გულშემატკივარი	გაღმა	გამოღმა
ქირქილი	ჩუმად სიცილი	მხიარული	სევდიანი
ხელმოჭერილი	ძუნწი	მუქი	მკრთალი
განათლებული	ნასწავლი	უსუნო	სურნელოვანი
ცნობილი	სახელგანთქმული	ვახშამი	საუზმე